საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №23/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- წარმომადგენლის -- -- 2021 წლის 9 მარტის №23 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 10 მარტის №77/23-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოთხოვილ იქნა საქმის მასალების ასლები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის №23/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადა.

1.2. ამასთან, საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიკერძოებულობაზე და მეორე მხარესთან ნათესაურ კავშირზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 27 ნოემბერს, -- -- სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს.

2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით -- -- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. განჩინება გაასაჩივრა მოწინააღმდეგე მხარემ - -- --.

-- -- სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა -- --.

2018 წლის 17 მაისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსაბუთებლობის მოტივით განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 ივნისის განჩინებით -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2018 წლის 19 სექტემბერს საქმე დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

2.2. 2017 წლის 6 დეკემბერს, -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით (-- --). სარჩელი მიღებულ იქნა განსახილველად (საქმე №--).

მოპასუხე - -- -- შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 19 დეკემბერს.

2018 წლის 15 იანვარს -- -- კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე.

2018 წლის 16 იანვრის განჩინებით შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. განჩინება გაასაჩივრა -- --.

2018 წლის 26 მარტის განჩინებით საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და საქმის მასალებთან ერთად გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში.

ზემდგომ ინსტანციის სასამართლოში საჩივრის განხილვა დასრულდა 2018 წლის 27 ივნისს, საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს განჩინება. საქმის მასალები პირველ ინსტანციას დაუბრუნდა 2018 წლის 9 ივნისს.

სასამართლოს მთავარი სხდომა ჩაინიშნა 2019 წლის 28 მაისს. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა, რის გამოც საქმის წარმოება შეჩერდა.

-- -- სასამართლოს დასკვნა გადაუგზავნა 2019 წლის 4 ოქტომბერს, რის შედეგადაც 2019 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით, მოსამართლემ განაახლა საქმის წარმოება და სხდომა ჩანიშნა 2020 წლის 25 მარტს.

მოსარჩელემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, -- -- სასამართლოს 2021 წლის 25 თებერვლის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

შემდგომი სხდომა სასამართლოს მიერ ჩაინიშნა 2021 წლის 20 აპრილს.

საქმის განხილვა ამ ეტაპისათვის არ დასრულებულა.

2.3. 2020 წლის 15 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, გარიგების ბათილად ცნობისა და ქონების საკუთრებაში დაბრუნების მოთხოვნით (საქმე №--).

მოპასუხე -- -- სარჩელი ჩაბარდა 2020 წლის 25 სექტემბერს.

მოპასუხემ შესაგებელი არ წარადგინა, რის გამოც -- -- სასამართლოს 2020 წლის 30 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოსარჩელემ ჩაიბარა 2021 წლის 5 თებერვალს.

2.4. -- -- სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა:
2018 წელს - 1,979 სარჩელი, საიდანაც დაასრულა 1,293 სამოქალაქო საქმე (65%), ასევე განიხილა 373 სამართალდარღვევის საქმე;
2019 წელს - 861 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 556 სამოქალაქო საქმე (65%), ასევე განიხილა 223 სამართალდარღვევის საქმე;

2020 წელს - 1,651 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 892 სამოქალაქო საქმე (54%), ასევე განიხილა 95 სამართალდარღვევის საქმე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის დასკვნა:

-- -- წარმომადგენლის როინ ხიჯაკაძის 2021 წლის 9 მარტის №23 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ და „ა.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადა.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის („მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“) ჩადენის ფაქტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს ძირითად უფლებიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე.[1]

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.[2]

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში, თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.[3]

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/2/577, 2014 წლის 24 დეკემბერი, II-7

[2] მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას" (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, 150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში განსახილველად შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კონკრეტული საქმის სირთულე, საქმეზე მოსამართლისა და მხარეთა მიერ განხორციელებული მოქმედებები, ჩატარებული სხდომები და სხვადასხვა საპროცესო ღონისძიებები.

გამომდინარე იქიდან, რომ საქმე განეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივ დავას, ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა.

საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს ორ სამოქალაქო საქმეზე.

№-- საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2017 წლის 19 დეკემბერს, შესაბამისად საქმის განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლა უნდა მოხდეს კონკრეტული თარიღიდან. შედეგად, საქმის განხილვა მიმდინარეობს 3 წლის და 5 თვის განმავლობაში და ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

დისციპლინურ გადაცდომაზე მსჯელობისას აუცილებელია დადგინდეს ნორმით განსაზღვრული სამი პირობის კუმულატიური არსებობა: ა) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის დარღვევა; ბ) დარღვევის არსებითი ხასიათი; გ) აღნიშნული დარღვევისთვის საპატიო მიზეზის არარსებობა.

მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა, სტატისტიკური მონაცემები, მასზე განაწილებულ საქმეთა და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა, ასევე მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე მოსამართლემ იმსჯელა არაერთ შუამდგომლობაზე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელზეც ასევე წარდგენილ იქნა საჩივრები, მათი განხილვა კი ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში სამი თვე მიმდინარეობა, ასევე საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა, რის გამოც 5 თვეზე მეტი პერიოდი მოხდა საქმის წარმოების შეჩერება. რაც შეეხება სასამართლო სხდომებს, მოსამართლის მიერ საქმეზე ჩატარდა არაერთი სხდომა. ასევე, როგორც ზემოთ აღინიშნა მოსამართლე საკმაოდ დატვირთული იყო სტატისტიკურად და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა აღემატებოდა 60%-ს, საერთო ჯამში კი 2018-2020 წლების განმავლობაში განიხილა 3,432 საქმე.

მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე, სტატისტიკური მონაცემები, მოსამართლის წარმოებაში აღნიშნული საქმის ყოფნის პერიოდი და განსახილველ საქმესთან მიმართებით მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები ცხადყოფს, რომ საპროცესო ვადის დარღვევა არ წარმოადგენს არასაპატიო მიზეზით მოსამართლის ბრალეული ქმედებით გამოწვეულ არსებით დარღვევას.

რაც შეეხება №-- სამოქალაქო საქმეს, განსახილველ შემთხვევაში მოსამართლემ საქმის განხილვა დაასრულა სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 2 თვის ვადაში. ამდენად, მოსამართლის მხრიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ იკვეთება მოსამართლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევის ნიშნები.

4.2. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს მოსამართლისა და მეორე მხარის ახლო კავშირზე, რაც მისი აზრით შესაბამისად გავლენას ახდენს მოსამართლის მიერ საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სასამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1985 წელს შემუშავებული დოკუმენტის „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგ პირობას: „სასამართლომ მის წინაშე წარდგენილი საქმეები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებლად, ფაქტებზე

დაყრდნობით და კანონის შესაბამისად, ნებისმიერი მხრიდან და ნებისმიერი მიზნით ყოველგვარი შეზღუდვის, შეუსაბამო ზეგავლენის, იძულების, ზეწოლის, დაშინების და პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის გარეშე“.

მიუკერძოებლობა როგორც წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარ დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას, ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევას, ანუ რამდენად აქვს მოსამართლეს პირადი დაინტერესება და მიკერძოება საქმის მიმართ, ასევე უნდა გაირკვეს რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით.[4] ამდენად, მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერ დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა“.[5]

საქმის შედეგით მოსამართლის პირდაპირი ან არაპირდაპირი დაინტერესება და მისი სუბიექტური მიკერძოება მეტად რთული დასამტკიცებელია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსამართლის სუბიექტური მიკერძოება ვერ მტკიცდება, ასეთ დროს დამატებით უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტი. ანუ, უნდა არსებობდეს ესა თუ ის გარემოება, რომელიც მხარის ეჭვს სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ობიექტურ საფუძველს უქმნის. მთავარია, არსებობდეს რაიმე ობიექტური, ფაქტობრივი გარემოება, რომლის საფუძველზე მხარის ეჭვის წარმოშობა შეიძლება გამართლებული და ლოგიკური იყოს.

საჩივრის ავტორის განმარტება, იმის თაობაზე, რომ მოსამართლე და მხარე წარმოადგენენ ახლო ნათესავებს არ დასტურდება არავითარი გარემოებით და ვერც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მოკვლევის შედეგად გახდა შესაძლებელი კონკრეტული ფაქტის დადასტურება, ვინაიდან მოსამართლის ქცევა საქმის განხილვასთან მიმართებით, არ შეიცავდა არავითარი მიკერძოების ნიშნებს და არც აღიქმებოდა მიკერძოებულად. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოკვლეულ იქნა საქმის მასალები სრულად და ასევე სასამართლო სხდომის ჩანაწერები, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის მიკერძოებულ მოქმედებასა თუ გამონათქვამს ადგილი არ ჰქონია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საქმეზე №-- ამ ეტაპისათვის საბოლოო შედეგი არც დამდგარა, რომ ვისაუბროთ მოსამართლის მიერ მიკერძოებულად მიღებულ გადაწყვეტილებაზე, ხოლო სამოქალაქო საქმეზე №-- დამდგარი შედეგი კანონის დაცვით იქნა მიღებული, რადგან საპროცესო კანონმდებლობით, მოსამართლე შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში იღებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიკერძოებულ გადაწყვეტილებაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

[4] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 17.04.2014 წლის განჩინება, საქმე №2/5273- 13;
[5] MICALLEF v. MALTA; WETTSTEIN v. SWITZERLAND

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომები. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №23/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი